

№ 13

12 აპრილი 1915 წ.

სიცოცხლის მიზანი
მიმღები ხელის მოვალეა

ტლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

შოგელ კვირაული საზოგადო-ეკონო-

ოლგა ნომერი 10 კაპ.

მიური და სალიტარატურო ჟურნალი

რედაქცია ღია 9—3 საათამდე.

შელიჭადი მეოთხე

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეზებისა: თბილისი კლდე.



ავსტრიელი ჯარისკაცები თხილამურებით,



1. თმი და ჩვენი მატიანე.—შამქორისა 2. ისეთის ხელოვნები ჩამოშორება.—ქართლელისა. 3. „განათლების“ სკოლის განხდების გამო.—სანდრო შვილებისა. 4. ძებ-ს ა რ ჩ მ ვ ი ს ი: ღზედ წასწერი დაქსი.—მელანიასი. 5. უზრუნველ ქართველის დღიურიდან.—გ. ახ-ელისა. 6. სხვა და სხვა ამბები. 7. გერმანიაში.—X.სა. 8. იაკენის უძირე მედეს რთული.—დიოგენისა. 9. წერილი რედაქციის მიმართ.

ომი და ჩვენი მატიანე

VII

აქარელების საქმე მოტრიალდა. 1 აპრილიდან ბათუმის გენერალ-გუბერნატორის განცხილებით ნება ეძლევათ გახიზნულნი დაუბრუნდნენ კერის და დაიწყონ მუშაობა. გაცივებულ კერის, გაოხრებულ და განიავებულ საჩიოს, დანგრეულ სახლ-კარის და შეწყვეტილ მეურნეობის აღდგენა. ფეხზე დაყენება აღვილი არ არის. ჩვენც ნება დაგვროთეს ტელი გაუწოდოთ უბედურობაში მყოფ მოძმეთ და მოვალენიც ვართ, რითაც კი შეგვეძლება, შეუმსუბუქოთ ტანჯვა. მაგრამ აქარის საკითხი დღეს სხვა მხრივ გვაინტერესებს.

ქართველმა საზოგადოებამ კიდევ რომ შეძლოს ისე მთლიანად აუნაზღაუროს დარბეულო გაწყვილებული ქონება, რამდე მისტიკური ძალის წყალობით დაუამოს და დაუცხროს თურანელი წყლული და იარა აქარის ამბავი შიონც ისტორიულ ფაქტით დატჩება, ბევრს რამეს ეტყვის ჩვენის ცხოვრების მომავალს ისტორიკოს, გასსაკუთრებით ჩვენეროვნულ შეგნების, ჩვენი პოლიტიკური სიმწიფის დასახსიათებლით. ჩვენ ვფიქრობთ აქარის საკითხი მეტად სინტერესო დოს აქრობას უწევს ჩვენს საზოგადოებრივ პოლიტიკურს აზრს, და დარწმუნებული ვართ, რომ მის განხორციელებას დიდი შეიძლება იქნოს და ექნება ქართველ ხალხის ეროვნულ შეგნების და პოლიტიკური მისწრაფების საქმეში. არ არის ეროვნული პოლიტიკური პერსპექტივა არ გვაქვს. თითქოს ჩვენ ცხოვრებას იქმდის არ მიეხსიოს, რომ მას ერთნაირი ეროვნული პოლიტიკური აქტივი ჰქონდოდეს, გავლებული და ნათლად წარმოდგენილი ჰქონდეს ხაზი, რომელზედაც უნდა იაროს ეროვნულ ზრახვათა და მისწრაფებათს განხორციელების საქმემ. არ არის ეროვნული პოლიტიკური, რომელიც მოყვას სულ ჩაუდგავს და მტერს ანგარიშს გააწევინებს. და, ის სწორედ ამ ეროვნულ აქტივის უქონლობამ დაპირადა ის, რომ ყველამ რა ნახა სოფელი უძალოთ უგ უჯოხოთ მოინდომა გავლა, ეს აზრი, ნება მომეცით, ყველასათვის ცნობილი ფაქტებით განვმარტო; ყველას ახსომს, რომ ლაპარაკი აქარელთა ღალატის შესახებ, რასაც ასეთი ამბავი მოჰკვა, კერძო შითქმა-მოთქმის სახით დაიწყო, თითქოს კილოს კითხვა უნდოდათ ჩვენთვის სად ვიყა-

რიმდე აზრის და სხვა—ყველაფერი ეს თავის საუკეთესო გამომთქმელს პოლიტიკურ აზრში, პოლიტიკურ პროგრამაში პპოვებს ხოლმე. და, თუ ამ მხრივ შევხედავთ აქარის საქმეს, მტრის საქციელს და ჩვენ საკუთარს დამოკიდებულებას მისდამი, მეტად მწარე ტკივილებს და მძიმე ქნიჭვნის განვალების იგი, განვალენების, რადგან იგი ნამდვილი სარკეა, სადაც საკუთარს უსუსურობს, პოლიტიკურად ფეხ-აუდგომლობას დავინახავთ ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ პოლიშის მოხდა ან გაქარწლება გვინდოდეს იმ სამართლიან საყვედურისა, რომელთაც მოვამართეს პატივცემულმა აქარელის მოღვაწებმა. პირიქით, ჩვენ სავსებით ვიღებთ ამ საყვედურს, და ჩვენის მხრივ გვინდა მიუთოთოთ ჩვენ საზოგადოების არაც თუ მარტო ისეთ ფაქტზე, რომელიც ახასიათებს ჩვენ დანაშაულობას აქარელების, წინაშე, არამედ ისედზედაც რომელიც ჩვენი საზოგადო ცეკვების მშვენიერი დამხასიათებელია. აქარის საქმე მარტო ჩვენი დანაშაულობას მოძმეთა წინაშე მთქმელი კი არ არის, არამედ იგი საუკეთესო მოწმეა იმისა, რომ არავითარი პოლიტიკური აზრი არ გვაძიდოა, არავითარი პოლიტიკური პერსპექტივა არ გვაქვს. თითქოს ჩვენ ცხოვრებას იქმდის არ მიეხსიოს, რომ მას ერთნაირი ეროვნული პოლიტიკური აქტივი ჰქონდოდეს, გავლებული და ნათლად წარმოდგენილი ჰქონდეს ხაზი, რომელზედაც უნდა იაროს ეროვნულ ზრახვათა და მისწრაფებათს განხორციელების საქმემ. არ არის ეროვნული პოლიტიკური, რომელიც მოყვას სულ ჩაუდგავს და მტერს ანგარიშს გააწევინებს. და, ის სწორედ ამ ეროვნულ აქტივის უქონლობამ დაპირადა ის, რომ ყველამ რა ნახა სოფელი უძალოთ უგ უჯოხოთ მოინდომა გავლა, ეს აზრი, ნება მომეცით, ყველასათვის ცნობილი ფაქტებით განვმარტო; ყველას ახსომს, რომ ლაპარაკი აქარელთა ღალატის შესახებ, რასაც ასეთი ამბავი მოჰკვა, კერძო შითქმა-მოთქმის სახით დაიწყო, თითქოს კილოს კითხვა უნდოდათ ჩვენთვის სად ვიყა-

ვით მაშინ? რატომ არ წავდექით და პასუხი არ მოვითხოვთ ერთხმად, როგორც ერთგულმა ერმა, რომლის ერთს საუკეთესო ნაწილს ასეთი სახიფათო ბრილი ედებოდა? შემდევ, როდესაც სხვამ ხმა ამოილო, როდესაც უდანაშაულო მსხვერპლმა და უსამართლობამ თვითონ აალაპარაკა ყველანი და ჩვენ თითქმის გვიკარნახეს, რომ შეგვეძლო ხელის გაწოდება — ჩვენ რაღაცა ვაუბედივობას, შიშიანობას ვიჩენდით და ვიჩენთ.

თუ ერის ნაწილის შელახვამ თავის გამოდება ვერ გამოიწვია ჩვენში — აშკარაა თუ რა ფისის ეროვნული შეგნება გვქონია და ისიც ნათელია რად ავვიგდეს ასე აბუჩათ! აი, ასეთის სახით დაგვანახა ჩვენი ეროვნული შეგნება აჭარის საქმემ და იგი დღეს ისედ ყოფაშია, რომ მას კიდევ შეუძლიან, თუ გვაბატი კიდევ უნარი სიცოცხლისა, აამოძრავოს ეროვნული ძალა, გააღვივოს ეროვნული შეგნება. საჭირო მეტად დაფიქრებით და გონიერათ მოვიხმაროთ მოცემული უფლება — ერი დავრაზმოთ ნაწილის ტანჯვის შესამსუბუქებლიად. საჭირო რომ დახმარების განხორციელებაში მთელს ერს მივაღებინოთ მონაწილეობა და და უველა კუთხე ჩვენი ქვეყნისა თანამოზიარე გავხადოთ ეროვნულ სხეულის საუკეთესო ნაწილის უბედურებისა. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ საქმეს სერიოზული და სასურველი სახე მივცეთ, თორებ თუ საქმე — ინტელგენტთა „გულის შეტკივნით“ გათავთა, კვლავ გავიმეორებთ იმ ეროვნულ უბედურებას, რომელიც თან სდევს ჩვენს ნასწავლ კლასის ისტორიის. ეს უბედურება ის გახლავთ, რომ უველა სახოგილოებრივმა იდეალებმა პოლიტიკურმა იმედებმა და ზრახვანმა, რომელთაც კი აღვრით პქანდათ ამ ასი წლის განმავლობაში ჩვენ ცხოვრებარი გაიელვეს საჭართველოს პოლიტიკურ კაზე რაღაცა შემთხვევით და უცხო მნათობებად, რომელთა ცქრით ხოლოდ ინტელიგენტია იკლავდა ოცნების უნის, ხალხის გულისათვის კი შეემჩნეველი რჩებოდნენ. პოლიტიკური იდეალები — ინტელიგენტის გემოვნების ნაყოფი იყო და ინტლიგენტის არ გასცილებიან თავის გავლენის გავრცელებით, ხალხი თითქმის სულ მუდამ გარეშე რჩებოდა და მით თვით იდეალებსაც უშანაარსობა, უცოცხლობა ეტყობოდათ. როგორცა და სადაც სჩიდებოდნენ, იქვე პქრებოდნენ. ინტელიგენტია გენერლობდა, შრიაბი პროექტებს სწერდა, აღმასრულებელნი, ჯარის-კაცთ კი მათი არაფერი არ ესმოდათ. არა ყოფილა ცდა გამოენახათ ისეთი კონკრეტული

ნიადაგი, რომელზედაც შესაძლებელი ყოფილიყო ერთობა ხალხისა და ინტლიგენციისა, ეროვნული იდეალის აშენება. დაზარალებულ გრძელია დახმარება, ჩვენის ღრმა რწმენით, შეკვედა ხაშიადლოთ ნიადაგს შეაღგენს ამ შეგნებისთვის — წალა სწორედ ასედაც უნდა გამოვიყენოთ იგი,

ისტორიული თვისებანი და ხასიათი ჩვენის ხალხისა საუკეთესო თავდებია ამისა! და სწორედ ამ ხალხის თვისებებზედ უნდა აშენდეს ეროვნული შეგნების იდეია, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ძნელად მოიპოვება მეორე ისეთი ხალხი, როგორც ქართველობა, რომელსაც იმდენი საზოგადოებრივ გრძნობით და ინსტიტიტით სავსე ჩვეულებანი და ჩვეულებით დალოცვილი დაწესებულებანი მოეპოვებოდეს, რამდენიც ქართველებს.

რიგრიგა, მამითადი, შესაწევარი, ოჩხარი, დიდება და სხვა ყველითერი ეს, ფუძე თვისებანი ქართველნი ხალხისა, ისედს სიმპატიურს და ძვირფას ელემენტს წარმოადგენენ ეროვნულ შეგნებისათვის, რომ სწორედ ამ თვისებებს უნდა მივმართოთ, და დღეს ხომ სწორედ ეს თვისებები, მეზობლის გაკითხვა, არის საჭირო! უნდა მივმართოთ ხალხს და მოვითხოვთ მისი თანაგრძნობა აჭარელებისადმი ისე, როგორც თხოულობს ამას მეზობელი შეზობლისაგან და ხალხიც მოვალეობის შეგნება მას ისტორიულად აქვს შესისხლ-ხორცებული. ასეთი თანაგრძნობა აჭარელებისადმი, რაშიც უნდა გამოიხარის იგი — ერთი ჯამი ფქვილი, ერთი გროში ფული, მუქა ლობით თუ მარტო კეთილი სიტყვა იქნება — დიდს ნაყოფს მოიტანას. გარდა ნივთიერ დახმარებასა იგი მეტად სიმპატიურ შეგნებას და-აძლებს, ეროვნული იდეა გასცილდება ვიწრო წრეს „განათლებულებისას“ და ხალხის მონაწილეობით ცხოველ-მყოფელი და ძლიერი შეიქმნება! ეს იქმნება პირველი, მაგრამ გაბედული და სალი ნაბიჯი, რომელიც მისცემს ქართველ ხალხს პოლიტიკურ პერსპექტივს, პერსპექტივს აღმოცენებულს ისტორიულ სამშობლო ნიადაგზე და ისე საჭიროს დღეს, როდესაც არ არის ხალხი დედამიწის ზურგზე, რომ ეროვნულ ოცნებადა და ზრახვათა განხორციელების სურვილის მორევში არა სკურვედესა განსაკუთრებით ჩვენს გარშემო ისე ძლიერი ისეთი სურვილები, რომ შთანთქვას გვიკადის და ამისათვის არის საჭირო სწორედ მოწინააღმდეგებების ქონება. თუ სხვას არავითარი საბუთი, გარდა კიცი-ჭამიაობისა არა აქვთ და რაღაცაც კი

ანხორციელებენ, რატომ ჩვენ არ უნდა წირმოვთქვათ ის, რაც შეადგენდეს ისტორიულს სიმართლით სავსე ანდერძს და ისეთ პირობებს, ურომლისოთაც ქართველი ხალხის მომავალი ძნელი საფიქრებელია.

ტრავიზმი ჩვენი ისტორიისა გახლდათ ის, რომ გასავალი სახემლწიფოს ზრდისათვის არ გვქონდა. შევი ზღვა უფრო კულტუროსან ხალხს ეკავა ხელში თავის ახალ შენებით, კასპიის ზღვით და ჩვენი ქვეყნის შეა კი უდაბნო, ხრიოკი ადგილნი, არამც თუ არ იზიდავენ ქართველის გულს, არამედ შეუჩერებლივ უგზანიდა სხვა და სხვა ურდოებს, რომლის წინაშე ქართველებს შხოლოდ მოგერებითი მოქმედება უნდა ეწარმოებინათ. ასე იყო კარ-ჩავეტილი ქართველობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი ოდესმე შერიგებოდეს ფატალურ აუცილებლობის აზრს და იმედი დაპყარვოდეს ბორკოლის დარღვევისა, სახელმწიფოს ბუნებრივ ზრდისათვის ადგილის მონახვისა. განა ამის საუკეთესო მთქმელნი დიდებული შოთის უკვდავი გმირები არ

არ არიან თავის უსაზღვროთ მოხეტიალე სულით, მსოფლიო ძებნით? თითქოს ერის დათი ხნით შეხუთულ სულს და გენიას გადაერთვიოს ბუნებრივ საზღვარი და ღსნა ეპოვის! არ აზრი ჩვენი ისტორიისა! იჭარის უბედურება შემოდგნას—უნდა შეიქმნას ეროვნულ შეგნებისა, უნდა იქცეს სალსრად ისტორიულ მისი ის ერის სულიდ ქცევისა; იჭარის მოსდევს ლაზისტანი—აკვანი, სამჭედლის ჩვენის წარსულისა. და თუ დღეს სხვები ეპოტინებიან ლაზისტანს და თავის სურვილებს გარდა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ სიყალისა, აღმად, იქ მცხოვრებთა ფიზიკურ ამოელეტაზედაც ამყარებენ რადგან მასსა, რომელიც უნდა შესცვალონ კულტურულად და ეკონომიურად უფრო მაღლა სდგას მასსაზე, რომელიც უნდა ჩაასახლონ; რატომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს ეს პოლიტიკური მისწრაფება, თუ მას ამართლებს ისტორიული წარსული და დღევანდები საჭიროებანი ქართველი ერისა. აი ასეთის სახით შედის ჩვენ მატიანეში იჭარის უბედურობა!

შამქორი.

ოსეთის ხელოვნური ჩამოშორება

(ზ. ჭიჭინაძის წიგნის გამზ.) *)

რაც საქართველო რესეფს შეუერთდა, პოლიტიკურ მშართველთა მთელი ყურადღება იქითვენიყო მიქცეული, რომ ხელოვნურიდ ჩამოეშორებინათ ჩვენი შემადგენელი პროვინციები, თუნდა ქართველთა ისეთი შტოები, როგორიც არის სიმეგრელო, აჭარა და სხვა. „Divide et impera“—ი მთელი პოლიტიკის სარჩული.

თუ ეს ასე იყო ჩვენს ბუნებრივ შტოებზე, თუ ასე უდიებიდ მოგვეპყრენ ჩვენს საუთარ სისხლ-ხორცია შესახებ, რა იქნებოდა უცხო, მეზობელ ერთა თავს, სადაც საქართველოს კულტურა მეფობრივ გავლენას ახდენდა, ეს ადვილი წარმოსადგენია. ისეთი, მაგალითად, ისტორიულად არამც თუ მოსაზღვრე, თითქმის ჩვენს ერთვარ შემადგენელ ნაწილს შეადგენდა. ჩვენს წინაპართ უბსოფირ დროიდან პრონიათ შემოდრო დამოკიდებულება. ქრისტიანობის შეტანა რომ არ ეიანგარიშოთ,

საკმარისი გავიხსენოთ ჩვენი ისტორიის პერიოდი, დიდი მეფენი საქართველოსი, როგორც ვახტანგი, ბაგრატ ბერითხე, დავით აღმაშენებელი, დიდი თამარი და ნარავალი სხვანი, რომელნიც არამც თუ მტრულად, პირიქით, მოყვრობით სცდილობდნენ ისეთი საქართველოს ვასალიდ გაეხადნათ. ასეა თუ ი. ჩვენ და ისები უძველეს დროიდან კეთილ კულტურა მათხე ისე ძლიერი იყო, რომ დღესაც მრავლად ნახავთ მთებში ეკლესიებს ქართული წარწერებით. წირვა-ლოცვა, ძველად მიწერ-მოწერა სულ ქართულ ენაზე თუ არა, ქართული ანბანით მაინც ჰედებოდა. ეს გავლენა ისე ძლიერი იყო, რომ თვით მეჩვიდმნტე საუკუნეშიაც კი, როდესაც ისეთის ერთ ნაწილში ისლამის სარწმუნოებაში მოიკიდა ფეხი, ვერ შესცვალი ჩვენი დამოკიდებულება, ვერც ერთს ისტორიულ ნაშთს ვერ იპოვნით სპარსული ან არაბული წარწერით.

მაგრამ აი, დაპყრი დრომ, მოხდა საქართველოს რესეფთან შეერთება. იმ მომენტიდან იწყობა

*) იხ. ზ. ჭიჭინაძის „ოსეთი ქართული წინგაბათ“.

რესპონსიკოსთა მიერ საქართველოს კულტურის გაძლევა, იყარება მრავალი ისტორიული ნივთი, უპატიოთ ეპურობიან ჩვენს ხელნაწერებს, სიტყვით თუ საქმით ჰსურთ ერის შეურაცხყოფა, რათა აჩვენონ, რომ საქართველოს არა პქონის აა წარსულშით. ოსებთან გაცნობაშ ჩვენი კულტურის შესახებ მათ ბევრი რამ უთხრა, მაგრამ ვის რად ეპრიანებოდა საქართველო! არა, მისი ავტორიტეტი უმვეღვან უნდა დაეცათ და გაექარჩყოდინათ. და ი, ოსეთსაც, მეორმოცე წლებიდან ჩისჩიჩინებდნენ, რომ ისინი „არა ისტორიული“ ერი არიან, მათი წარსული ველურ ხალხის წარსულია, ხოლო ანბანი რომელიმაც ღმერთ გამწყრალ „თხას შეუქამია“. მუდმივმა პროპაგანდამ, მართლაც, შეცდომაში შეიცვანა ოსმბა. მათ დაიჯერეს, უარპყვეს მამაკაპეული ამავი, შეუდგნენ სალვოთ წიგნების მოსპობას, თუმცა, საბედნიეროდ, აქა-იქ ისტორიულ ნაშთად კიდევ მოიპოვება „ლოცვანი“ და „ლიტურლი“, — (რამდენიმე ეგზემპლარი მინახვს დ. ცხინვალში, ს. ქემერტში და ვიცი კიდეც, ს. დ ვისთან რა ინახება). რაკიდა მოსპეს ჩვენი* ან-ბანი, მთავრობა იძულებული შეიქნა სამაგიერო მიეცა. და ეს მაგიერი მის ნაცვლად რომ რრივინალი ყოფილიყო, ისეც დატკეპნილ გზაში დაინახეს, აიღეს, არც აცივეს, არც აცხელეს და სლავიანურ-ლათინურით შეხანხლეს ახალი ვითომ და „ოსური“ ან-ბანი, თუმცა იძულებული გახდნენ ჩვენგან რამდენიმე ასო ესესნათ ან-ბანის შესავსებათ.

რომ ახალ ნამყენს მაგრად გაედგა ფეხევი, ოსეთში მრავლად მოჰყინეს სამრევლო სკოლები. ქართული ამოიტხვრა. მაგივრად რუსული შემოვიდა, ბევრგან მუნჯური მეთოდითაც კი. პროპორციანულად თუ ივიღებთ, დავინახავთ, რომ ოსებში მეტი სკოლები დაიხსნა, ვიდრე ქართლში. მთავრობამ საგანგებო ნივთიერი დახმარებაც კი აღმოუჩინა სწავლა-განათლების მიღებაში. ამითი აიხსნება, რომ მაგალითად, ჯვისხეობამ უფრო შეტი სტუდენტობა გამოხარდა, ვიდრე მთელი გორის მაზრის ქართულ—სოფლებმა. მაგრამ საკითხი ისევ საკითხად დარჩა: რა ნაყოფი მოაქვს ასეთს ნაძალადევ „განათლებას?“ პრაქტიკულად თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ ძალიან ნაკლები. მოსწავლეთა მეტი ნიშილი ირაბუნებრივ ნიადაგზეა, ასეთი „საშობლო“ ან-ბანით ისინი უფრო ჩამოშორდნენ სამშობლო ნიადაგს. ბავშვი წერილობით ვერას გააგებინებს მშობლებს და პირიქით, მშობლები—ბავშვს. ახალთაობას კიდევ ასე ჰგონია, ვითომც ისტო-

რია მართლი ამ შევეღითი პოლიტიკის გამფუნდან იწყება, სახელდობრ 1840 წლიდან, როცა ქართულ კულტურის გათიშვა დაწყებული თხეთიც არა ისტორიულ ერად გამოიცხადეს. როგორც უკულტურო ერი, უცნობი სასტატის წარმატების გვირგვინი ამ პოლიტიკის როგორც თხეთის ეროვნული შეურაცხყოფა იყო, ისე ჩვენი ჩამოშორებაც...

მაგრამ ვიდრე ამის სიმპტომებს სავსებით აღვნიშნავდე, ვიღებ საწინასწარმეტყველო ხასებს ჩამოვალებას, მე მსურდა მიმეთითებინა ქართველ მკითხველთათვის სასოგადოდ და ოსებისთვის კერძოდ, კურადღება მიექციათ. ზ. ჭავჭამის ახალ გამოცემისთვის „ოსეთი ქართული წიგნებით“. მართალია, მეცნიერული თვალსაზრისით ივი მხოლოდ მასალათა და ისიც ნედლ ზარალათა ხსოვის მეტ არის წარმოადგენს, მაგრამ ღირებულება ამ წიგნისა სწორელ ამ „სინედლეში“ უნდა ვეძიოთ. დაკვირვებული მკითხველი ამ მასალის მიხედვითაც კარგად დაინახავს თუ რანი ვიყავით აუშინ ჩვენ და რა მეზობლობა გვქონია ოსებით. ეს მასალავე დაგვანაზებს არსებულ პოლიტიკის სიმახვილეს, რაც ორპირადა სკრის და ორივე მაარეს, ქართველებისა და ოსებს, ერთგვარ ჭრილობას გვაჟენებს. ოსების მოერ იძულებით ამ გზის არჩევა ხელოვნურად დაგვაშორებს ერთ ურთისავან, თქმა არ უნდა, ჩვენი და მათი მომავლის არა საკეთილდღეოდ...

ქართლელი.

„განათლების“ სკოლის განახლების გამო

ჩვენ წერილებში, რომლებიც უძლვენიო საშუალო სწავლა-აღწრდას ჩვენში, ჩვენ ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, თუ რა მავნებელი შედეგები ჰქონდა ერისათვის მიღებულს და გამეფებულს საშუალო სწავლა-აღწრდის სისტემას. ჩვენ ლაპარაკი გვქონდა მხოლოდ საფაქო გიმნაზიებზე. ივიგე ითქმის ქალთა საშუალო აღწრდაზედაც: იმავე გვარის, იმავე აზრით დაარსებული სასწავლებლები, უფრო მივნე შედეგებით ჩვენთვის. გიმნაზიები არამც თუ ხელიდან გვაცლიან, გამოუსადეგარ პასიურ ელემენტად ზრდიან ჩვენ ქალებს, არამედ მათ ისეთ კულტურულ და გონიერივ დონეზე და გუნებაზე

აუნებენ, რომ საფრთხე ხდებიან ჩვენი ეროვნულ ცხოვრებისათვის. თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ ოჯახი ერის საფუძველია, და ოჯახის ბურჯად კი ქალი — დედა ითვლება, მეტადრე დღეს, როდესაც მამა კაცი სრულიად გართულია არსებობისათვის ბრძოლაში და მთელი აღმზრდელობა ქალს აწვება თავზე, მაშინ აშკარა იქნება რა დიდი კვალი სიმახინჯისა უნდა დასტოვოს ეროვნულ ცხოვრებაზედ ასეთში აღმზრდელმა. იშვიათად შევხვედრივართ კერძოთ, და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ხომ არც კი იცნობს ისეთ სწავლა მიღებულ ქალს, რომელსაც ეროვნული მოვალეობა ოდნავა პქონდეს წარმოდგენილი და თავის მოქმედებას იმას უქვემდებარებდეს. თუ შეხვდებით ბედნიერ გამონაკლისა ამ საერთო მოვლენიდან და ჩაუკვირდებით საქმეს, უშემველად ერთ დასკვნამდე მიხვილთ; ოჯახი ყოფილა საღი ეროვნულიდ, გამათახსირებელს სასწავლებელს ვერ დაუძლევია ოჯახის გავლენა და თუ შერჩენია ქალს ეროვნული მოვალეობის შეგნება — მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წყალობით

ამიტომ არის, რომ გამრავლდა „კარტველი კალობა“, მნიშვნელობა და ძველი პატივისუება დაპკარგა ჩვენში, სრულიად გაინთხა, უფერული გახდა და მხოლოდ ამ ბოლო დროს ხმა ამოიღო მისმა მცირე ნაწილმა და საჭიროდ სცნო ქართველ ქალთა საზოგადოება დაეარსებინა. ის ვინც გაზდილა გიმნაზია-პანსიონებში და გიმნაზიის გავლენის სრულიად დაუძლევია ოჯახის გავლენა — ჩვენი ხელიდან სამუდამოდ არის წასული, არავითარი სარგებლობა ეროვნულ საქმეს მათგან არ ექნება. იქნება პარიზის, ან რუსეთის რომელიმე დედი ქალაქში, თეატრის სცენაზე ფეხს ლამაზად სწევენ, მსახიობობენ, მაგრამ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას ამით არაფერი არ ემატება და ჩვენ კი მხოლოდ ეროვნული სარგებლობის თვალით უცქერით სკოლას.

უშემველია დაწყებული მოძრაობა სკოლის საქმეში მარტო სავაურ სასწავლებლების რეფორმებს არ იკმარებს და ქალთა აღზრდასაც სასურველ გზისაკენ მიჰხრის. სიმპტომები ასეთი მოვლენისა უკვე არის. ჩვენის საზოგადოებისათვის ცნობილ „განათლების“ სკოლის ხელმძღვანელობის სწორედ ეს აზ-

რი ახელმძღვანელებს. როგორც ვიცით მათ განუჩალონ დღევანდელი სკოლა სემინარიათ შესცვალონ და მკათათვის კანონის ძალით სწავლა ქართულ ენაზე შემოილონ. მეტად სიმპატიური აზრი სალ პედაგოგიურ დებულებაზედ, საჭმალო აღზრდაზე, დამყარებული სრული თავდებია იმისა, რომ საქმემ დიდი ყურადღება უნდა დაიშვახუროს და შესაფერი გავლენა მოიპოვოს ჩვენს საზოგადოებაში. სახალხო სკოლების მასწავლებელთა აღზრდა — რა საც ისახვეს აზრად სემინარია — ეს მეტად დიდი და მნიშვნელოვანი საქმეა ჩვენთვის. რამდენი ხანია არსებობს ჩვენში სახალხო სასწავლებლები და მათი ნაყოფი ყველამ უწყის, ჩვენ არ მოკვებოვება „შწიგნობარი“ ხალხში, აღზრდილი ამ სასწავლებლებში, არ მოგვებოვება იმიტომ რომ სხვა აზრით იგზანება და სხვა მომზადებით მიღის იქ მასწავლებელი.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხალხში ცოლნის შეტანა, ხალხურ მწიგნობობის გამრავლება — არის ფუძე ეროვნულ კულტურულ ცხოვრებისა, მაშინ აშკარაა თუ რა ცხოველმყოფელს და წმინდა აზრს ისახავენ „განათლების“ სკოლის ხელმძღვნელნი. საქმე მეტად სიმპატიური და დიდია და რანაშაული იქნება, რომ საზოგადოებამ შესაფერი თანაგრძნობა და დახმარება არ გაუწიოს. უპირველესად მეტად სასურველია სასწავლებელში მოსწავლეთა ის შემადგენელობა დარჩეს, რომელიც დღეს არის, მაშასადამე სწავლის ფულის პომატებაზე ფიქრი შეუძლებელია; სასწავლებლის გარდაქმნა კი დიდის ხარჯს გამოიწვევს და ის იქ სწორედ საზოგადოებამ უნდა მოიხადოს თავისი ვალი. დროა, შევიგნოთ ჩვენი სარგებლობა და ჩვენი დანახარჯი სწავლა აღზრდის საქმეში მართლა იქით მიემართოთ, სიღარიზაცია სარგებლობას, ცხოვრების გაუმჯობესების ველით. ამიტომ გონიერება მოითხოვს, რომ ჩვენ საზოგადო დაწესებულებათა ათასობითი სუბსიდიიდან მკირე ნაწილი ამ ფრიად სიმპატიურ საქმისათვის მიემართოთ! გვეყო აშდენი ბალერინ მოხელეთა ზრდა, დროა, დრო საქმესაც მივხედოთ!

სანდრო შვილი.

ქართველი წასა- წერი „ლექსი“

(პატარა ამბავი) *)

V

თავის სიცოცხლეში ერთად ერთხელ ჩავარდა განსვენებული ნივთიერსა და უფრო კი ზნეობრივ გაჭირვებაში. ეს სწორედ მაშინ მოხდა, რომ ქალაქ თბილისში „ახალი“ კლუბის გახსნას აპირობდნენ.

განსვენებული ბშირად შესჩივოდა ხოლმე თავის ერთგულ ნინიას: „ჩვენ, ქართველები, არ ვარგვართ, ყველა ხალხს უკან ჩამოვრჩით; ჩვენი უნარი ვერსად გამოვვიჩნიათ. აგე, შეჰედე, ჩვენი შეზობელი სომხები რასა შეტებიან! იმათ უუვართ ფულები და აქვთ უნარი ფულების მოგებისა და რომ გამოიჩინოს ეს უნარი, ააჩსებენ ბანკებს, სავაჭრო სახლებს და იგებენ აუარებელ ფულებს. ჩვენ, ქართველებს, კი შნო არაფრისა გვაძეს; ჩვენი ბუნების წინააღმდეგ მივდივართ და ვმოქმედობთ. ჩვენი ბუნების თვისებანი და უნარი ქიფისა და ფულების დაუზოგველად ხარჯვაა და აქამდის გონის ვერ მოვედით, რომ ჩვენც სომხებსაფით დაგვეარსებინა ისეთი რამ დაწესებულება, საცა შეძლება გქონდა გულუხვად გეხარჯნა ფულები და ამასთანავე შენი განის კაცს დაენახა, თუ როგორ ატარებ დროს და როგორ დაუზოგველად ხარჯვა ფულებს. ძლიერ ეხლა გამოჩენილა ვიღაცა ჰეკვიანი და მაღლიანი კაცი ჩვენშიაც და მოუგონია „ახალი“ კლუბის დაარსება, საცა შეგვეძლება ჩვენ ქართველებსაც საქვეყნოდ გამოვფინოთ ჩვენი თვისებანი და უნარი ფულების ხარჯვისა და დროს გატარებისაც“.

— ის პატარა ფრენა რომ მოუგონიათ — ისიც კი კი მოგონებაა, გააწყვეტინა ნინიამ.

— ეს, ეს რა მოგონება არის! მოგონება ის იქნება ქარგი, რომ ისეთი ვინმე გამოვიდეს და მოგონოს ის, რომ ჯიბეში ფული არ გამოველოს, რაც უნდა ბევრი ამოილო ჯიბიდვან და პატარჯო, თ მოგონებას ამას ვეტყვი! ის ეს მოგონება იქნება ქარგი და ძვირფასი, თორებ დღეს რომ ასი თუმანი გედოს ჯიბეში, ხვალ ასი ქაბერეკი აღარა გაქვს!

*) იხ. „კლუბი“ № 12.

— ეგეც ხომ კარგი მოგონება იქნებოდა.

— როგორ თუ კარგი მოგონებას მომდონებელს ყველა სულმი ჩისვამდა! ის თუ რდეს, ვინც „ახალი“ კლუბი მოიგონა, უკუდაჭყალისას მელი არ არის? დამაცადე ერთი გაფრთხოს სულ ჭიდუშიარო ჩემი აზრი. იქნება ისიც მოიგონოს იმან, რომ ჯიბეში ფულები არასოდეს არ გელეოდეს, რაც უნდა ბევრი პატარჯო, მაშინ ჩვენ, ქართველებს, მოედოს დედამიწის ზურგზედ ხალხი აღარ შეგვედრებოდა. იცი, მაშინ რა სახელს გავუთქვამდით ხაქართველოს? ჯერ ეხლა უცხოეთილი ისე არავინ მოვა საქართველოში, რომ ჩვენ დიდი ნადიმი არ გაფუმართოთ და იმით არ გავრძნობინოთ „წადი და საცა შენი სთქვა, ჩვენიც იქა სთქვიოთ“. ან როგორ გავაცნობთ ჩვენ თავს უცხოელებს სხვანაირად, თუ არა ნადიმზედ? სად გამოიტენით ჩვენს თვისებათა და ღირსებათ, თუ არ ქიფისა და დროს გატარებაში? და ჯიბეში რომ ფულები გამოულევლად იყოს, მაშინ ერთი ნადიმის ნაგიერად ორსა და სამს გაუმართოვდით და აბა მაშინ უკურებიანი, რა ქებადიდებას შეგვასხამდნენ მოელ ქართველობას.

— ვითომც როდიცა შემომესმა: იმ კლუბში ფულები უნდა შეკრიფონ ხოლმე მოქეთეთავან და ეს შეკრეფილი ფულები უნდა ამართო საზოგადო საკეთილო საქმესაო. იმისათვის პასნიან თურმე იმ კლუბს.

— ეგ სულ ტყუილად მოუჭორებიათ!.. პატარა კი მე რა მენაღვლება რაში და სად წავა ჩემგან დახარჯული კლუბში ფულები: საზოგადო საქმეს მოხმარდება, თუ კერძო კაცის ჯიბეში ჩავა — ჩემთვის სულ ერთია; მე მხოლოდ ჩემი სურვილი მომიულან — მაქეიფონ და მახარჯვინონ ფულები, როგორც მე მინდა და მსურს. ჩემი საწადელო და სანატორელი მარტოდ-მარტო ეს არის.

— მეც ისე მგონია, რომ ჭორი უნდა იყოს, თორებ, თუ საკეთილო საქმისთვის ფულების შეგროვება უნდოდეთ მარტო იმ კლუბის საშუალებით, ის არ ემჯობინებოდა, რომ პირდაპირ მიემართოთ ყველასათვის და ეთხოვნათ შეწირვა? ასე უფრო ბევრსაც შეაგროვებდნენ, ჩემის ფიქრით, და დიდი ხარჯისაგანაც ბევრს დაიტაროვდნენ.

— შენ რატო მაგრე ლაპარაკობ ნინიავ! მაშვისაც დახარჯვა უნდა ფულებისა, სად და როგორ დახარჯოს? რამოდენა ფული დამიხარჯავს მე და იბა ვინ გაიგო და დაინახა? ის კლუბი რომ ყოფილიყო, მაშინ კი ყველას ეცოდინებოდა. არა კმარა, რომ მე ვხარჯე ასე უჩინრიად და უსახელოდ იმო-

დენი ფული, რომ სხვასაც არ დაადგეს ჩემი დღე? რაც შეეხება საქველმოქმედო საქმეს — განა კოტა შემიწირავს?

— ჰმ, ძნელი კია ისე — პირდაპირ ფულის გაღება, რაც უნდა საკეთილო საქმისთვის იყოს დანიშნული, თუ არ ხერხითა და მოტყუებით.

— კიდევ!.. კაცო, რამ აგრეხა? იმ კლუბს სხვა არაფერი დანიშნულება არა იქვს რა, გარდა იმისა, რომ ქართველი ხალხის თვისება ღირსებანი: ქეიფობა, მხიარულობა, დაუზოგველად ფულების ხარჯვა და სხვა ამისთანები გამოფინოს საქვეყნოდ და უფრო ნათელ ჰყოს იმათოვისაც, ვისაც რაიმე მიზეზით ვერ შეუტყვია იქამდის ჩენი უნარი. რამდენი ახალგაზრდა არის აღჭურვილი ამ თვისებებით და ვერსად კი ვერ გამოუჩენია.. შენ არ გესმის, თუ რა დიდებული საქმეს ჩაეყრება საძირკველი იმ კლუბის დაარსებით. ვინა! მე რომ ის მამულ დედული, რასაც იქამდე ნაწილად ვყიდდი, ისევ ხელ-უხლებელი მქონდეს ეხლა, ამავე წუთში სულ მთლიანად გავყიდდი და მთელ მათში იღებულ ფასს ერთ ლაშეს შევწირავდი მსხვერპლად ამ საშილიშვილო დაწესებულების ას, რა ავჩარდი! ეს ოხერი სხვაფრივ, თითქოს გაფრთხილებული ფარდა ვიყავი და იმაში კი ვერ გამოვიჩინე შორს მჭვრეტელობა, თუ რა მომავალი გაგვიღიმებდა ჩენ, ქართველებს. ლაშის რომ იტყვიან, ფურმა იწველა — იწველა, ჰკრა წიხლი და დალვარაო, სწორედ ისე მომივიდეს. კაცმა იქამდის ჩემზედ წინ არავინ გავატარე, ყველგან და ყოველ დროს პირველი მევიყავი და ეხლა კი, როცა დგება დრო და ემი უფრო მომეტებულად და საქვეყნოდ თავის გამოჩენისა, ფულები იღიარი მაქვს, რომ დავვესწრო ამ ბრწყინვალე ხალხოსნურ დღესასწაულზედ. და ჩემი დაუსწრებლობაც არ შეიძლება! მაშ რიღას ქართველი ვარ რომ მიელი საქართველოს ამ ერთად ერთი ძვირფასი დაწესებულების დაფუძნებაში მონაწილეობა არ მივიღო? მაშინ დედამიწაზედ ლა გამევლები ყველანი მოვალენი ვართ ამისთანა დროს ვასახელოთ ჩენი სამშობლო, ვისაც როგორ შეგვიძლიან; და ვინც ჩამორჩება უკან, ის დიდი მოლალი იქნება სამშობლოსი.

— შენც წინ რა გიდგა ბატონო, რომ არ მიიღო მონაწილეობა?

— გასაყიდი რომ აღარაფერი მაქვს — საიდან რა მოვაგვარო?

— რატომაც აღარაფერი გაქვს? მტერსაც ნუ ქვენება!

— აბა რა?

— რა და ტყეები!

— ვის რად უნდა კლდე-დრეები / და გორები, რომ ერთიანად იყიდოს? შეშა-ფიჩხის / წვრილ-წვრილი გაყიდვით კიდე რა ბირაჭაჭრულების კაცი: რა იმდენი უნდა შეგროვდეს, არა? // საქართველო მეურს და ისიც მის პირველ გახსნაში, როდესაც ნამდვილი დროა თავის გამოჩენისა და სახელის მოპოვებისა.

— რასაკვირველია მარტო შეშა-ფიჩხი იოლის ვერ წაგიყვანს. ამისთვის შენც აიღე და მთელი ტყეები პირ აღებით და ერთიანად მიეცი გადასაკაკაჭიად. მე ვიცი მუშტარი არ გამოვიჩნდება! იქნება არც კი ეყოთ ითელი შენი ტყეები — იმოდენა მუშტარი დაგედება. შენ ოლონდ კი დათქვი და სხვა რომ არავინ — მარტო მესაკირეებს არ ეყოფათ მოლიდ შენი ტყეები.

— ბიქო, ეგ რა კარგი მაიგონე! — და სიხარულით მიპარდა განსვენებული ნინიას, გადაეხვია და შუბლზედ აკოცა. — აბა ერთი დატრიალდი, ჩემთ ნინიავ,, და ეგ საქმე გაჩირხე ჩქარა, ხუმრობა არ არის, დაყოვნება აღარ შეიძლება!

ერთი მაშინაც გადაეხვია და დაუკოცნა ნინიას შუბლი, როცა მან საქმე „გაჩირხა“ და ათათ თუშინიანები ჩაუთვალი განსვენებულს ხელში.

როცა ახალ კლუბში დაუზოგველად ამოდიოდა ფული განსვენებულის ჯიბიდვინ და მისი ნაცნობნი თუ უცნობნი თავის გაქნევით ანუ თვალების გამჭუმეტყველებით აღნიშნავდნენ თვის გაკვირვებას, — ამისთანა ცნობის მოყვარულოთა საბასუბოდ მედიდურად სა საყოველთაოდ გასაგონრად გაიძაა ხოდა იგი: „რომელ ჩირგვესაც კი წიხლი წამოვკარ ჩემ ტყეში, კრელ-ჭრელი თუმნიანები გადმომივლოვთ.“

VI

უნდა, სამწუხაროდ, ვალვიაროთ, რომ უბადლურ შემკვიდრეთ აქამდის არ მოუყვანიათ სისრულეში განსვენებულის ანდერძი. და თუ ბედნიერი შემთხვევის წყალობით არ გამომეტევებინა, უთურდ დაეკარგებოდა ეს განძი სამშობლო ისტორიას.

რა გასამართლებელი საბუთი პქონდათ განსვენებულის მემკვიდრეთ ანდერძის გატეხისათვის, — ამისი გამოცნობა ძლიერ ძნელია... ხომ მეტად არსცნეს მათ ხელოვნური ძეგლის დადგმა განსვენებულის საფლავზედ და არა ფიქრობენ, რომ გან-

სვენებულმა სიცოცხლეშივე აიგო რკვე ხელთუქ-
მნელი ძეგლი? ძლიერ შესაძლებელია, რომ ამნაირ
ძეგლათ მათ მიაჩნდეთ შემდეგი:


იმ ადგილებს, რომელნიც ხშირი და გაუკალი
ტკიებით იყვნენ შემოსილნი, ეხლა ტყის ნასახიც
აღარ ადევთ: ეხლა ეს ადგილები წარმოადგენენ
ხრიოკ და გამოუსადეგარ, ხევ-ლრეებს და კლდე-
გორებს.— ერთხელ შემთხვევით გაიარა ამ გახრიო-
კებულ ადგილებში განსეენებულმა და ნინიას, ნიშ-
ნის მიგებით, მიჰმართა: „ჰი, ვერ ვითრინე, ნინიავ,
შენი ირმებ-დათვები, ერთ დროს ამ ადგილებში
რომ ბუდრაობდინენო! არა, როდის მიიღეს იმათ
ჩემგნით გააზიარების ფირმანი, რომ ჩემს შამულში
ცხოვრობდნენ და ბინადრობდნენ და ირაფერ მო-
ვალეობას კი არ იჩდიდნენ ჩემს სასარგებლო-
დო“.—

რაც რამ ნაკადულები და ჩანჩქარეები ჩამო-
დიოდნენ ტყით დაფარულ ხევებში, ან ტბა-გუბე-
იყო საღმე, სულ ერთიანად დაშროა მათმა დაშ-
რობაშაც არ ჩაუარია განსვენებულს უნაყოფოდ.
თითქმის მოულოდნელად გამოუჩინუნ ქვისა და
ქვიშის მუშტრები და ისე გამოიღოდვრინა დამშრა-
ლი ხევები, რომ დედამიწის ნიადაგიდის დაყვანი-
ნა. თანაც სიამოვნებით გაიძახოდა: „რა ყველაფერი
ყოფილი გამოსადევი: უბრალო კენჭი რა არის—
ისიც კი ფულს იძლევით“. —

ყველა წყაროებიც, რომლებითაც სოფლის
მცხოვრებლები სარგებლობდნენ, დაშრენ—დაპა-
ტარვდნენ ისე, რომ მთელი სოფლის მანდილო-
სანნი მოიყრიან ხოლმე თავს ყოველ დღე იმ წყა-
როებთან და უკდიან კოკების ივების ჯერს.

უცხო ტომის ახლად შოსულნი და სოფლის
მიღამოებში დასხლებულნი სალტესავით გარს შე-
მოერტყნენ სოფელს და იღარსავთ უშვებენ ბინადარ
სოფლის მცხოვრებთ და არც მათ ოთხფეხა საქო-
ნელს. სოფელი იღრჩიობა სივიწროეში.

რა თქმა უნდა, რომ სოფლის ბინაღარი მცხოვ-
რებლები არასოდეს არ ივიწყებენ განსვენებულს და
ყოველ უამსა და წუთს იხსენებენ მას. და თუ ან-
დერძით დავალებული ძეგლის მიზანიც მხოლოდ
ის იყო, რომ უზრუნველ ეყო განსვენებულს ყო-
ველ წუთს თვისი ხსენება და მემკვიდრეებმაც ასე
გაიგეს, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ უკანას-
კნელით, რომ მართლაც და განსვენებულმა სიცოც-
ხლეშივე დაიდგა ისეთი ხელოუქმნელი ძეგლი, რო-



მელსაც ვერ შეედრება ვერა რიმდ ხელოვნური
ძეგლი, თუნდაც იგი მთლად ოქროსაგან იყოს
ჩამოსხმული და თვილ-მარგილიტით მოჭედილი.

1914 9.

ମେଘାନାଥ,

უზრუნველ ქართველის დღიურიდან

(კვირიდან-კვირაშე)



უზრუნველ
კვირიდან

ნეტი ხსენებული აკაკი, უკულმართ პირობების გამო ცხოვრების სათავეზე. მოტივტივებულ ხოგიერთ „მოლვაწეთა-დასახასიათებლად, იტყოდა ხოლმე:

„...სახლში მარხულად ბრძანდება,
ძროხას შესჭის. შენსას თუა...

„გეწვევიო“ — მართალს ამბობს,
რომ გპ.ტიქომბს, — მაშინ სტუუა...“

ვე! საბრალო აკაკი, რას წარმოიდგინდა, თუ ჩვენი ცხოვრება „პროგრესიულად“ უფრო „წინ“ ჭიდვილდა! ნეტავი თუ იგი რაღას იტყოდა, რომ გაეგო, ამ ცოტა ხანში, სოფლის მოხელეებს, რომ თითქმის მთელი 1200 კომლოვანი სოფელი მარტყოფი შეუჭამიათ? თუ არა გჯერათ, გადიკითხეთ გაბ. „თემის“ ბოლო № 213-ში დაბეჭდილი წერილი ბ. ტ. კრიხელისა და დარწმუნდებით. ბარაქალა, კუჭებო, თქვენ მომნელეობას!... საყურადღებო უფრო აქ ის არის, რომ ამ სოფელს სათავეში სულ ერთი პროფესიის ხალხი მოჰქცეულია: „მამასახლისი სკ. მათიაშვილი — მიკიტანი, ნაცვალი გიგო თვალიაშვილი — მაკიტანი, მეორე ნაცვალი ვასო ძამაშვილი — მაკიტანი“ და ამ მიკიტან-მმართველების ლირსეული თანამშრომელი ყოფილი სოფლის — მწერალი ვასილ სოსელია, რომელიც, ვითარ პრინციპალური მოწინააღმდეგელებისა, — სადაც ნახივს დეინოს უეპველად უნდა რომ იგი „მოსპოსო“... აი სად მომხდარი გაერთიანება ყველა სოფლების მიკიტნებისა თუ არა, მარტყოფისა მაინც.

ჩვენ ვიცით, რომ დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც ასეთსავე „პროგრესის“ გზაზედ იდგა, თბილისზე მახლობლად მდებარე, სოფელი დილომიც, სადაც მოქმედების ფართო სარბიელი მოეპოვა მთელ შვიდ სამიკიტნოს და თუ ამ სოფლისაც თანდათანი გამიკიტნება ამ ბოლო დროს შექერდა, ამაში, ცოტა არ იყოს, „დანაშაული“ მიუძღვით ისეთ ჩეუმჩუმა მუშაქთ, როგორიც არიან მოძღვარი ივ. სონდოლაშვილი, ეჭიმი ბ. დემურია და სხვა.

—
თუ ამერეთის ზოგიერთ სოფლებს, როგორც

ხედავთ, „ჯეროვანი — წინ-სვლა“ ეტყობათ, სამაგიეროდ „რეგრესს და ჩამორჩენას“ ვხედავთ ზოგიერთსავე იმერეთის (სამეგრელოს) სოფლების ცხოვრებაში: როგორც გაბ. „შადრევანი“ (№ 16) გვატყობინებს, აბაშის საკრედიტო ამხანაგობის გაუმართავს კრებები და შვიდ სოფელში მოუსპობინებია დღეობების გადახდა (ჩვენებური, ბატონებო, — ბამა-პაპური, — ვაგლიხი...) „საწყენი“ უფრო ის არის, რომ აბაშელთა მავალითისთვის მიუბაძეთ: ქალეუბნის, სუჯუნისის, ონტოფოსის და სხვა ამხანაგობათაც, რომელთაც მოუსპიათ აღდგომა-ახალწელს სუფრის გაწყობა და „ვიზიტები“; უარ უყვიათ ტირილ-ქელები (საბრალო იქაური ლვდელ-დიაკვნები!) და, როგორც ბ. ქობულია იტყობინება, გამოუმუშვებიათ (მე რომ ამ სიტყვას ვერა გზით შევეგვე...) „ტირილის ახალი ფორმა“, რომ ხალხი ასკდეს (ვითომ და!) უახრო და ვამანადგურებელ ხარჯებსო“... არა, ბატონებო, თქვენ როგორც გნებავთ და მე კი საჯაროთ ვალვიარებ, რომ დიდი წინააღმდეგი ვარ ასეთი ძველის-ძველ ტრადიციების მოსპობისა და, ცოტა არ იყოს, ეროვნულ ელფერის დაკარგვისა... წინადაღება შემომავს, როგორც ნამდვილ წევრს ქ. შ. წ.-ქ. საზოგადოებისას, (თუმცა, ჩვენ შორის დარჩეს და, აგერ შეხუთე წელიწადია, რაც საწევრო გადასახალი არ შემიტანია,) რომ, ამ საზოგადოებისვე ხარჯით, ამერეთიდან იმერეთში გადატანილ იქმნას რამდენიმე სამიკიტნო მაინც, თუ გვინდა მოსალოდნელი საფრთხე თავიდან ავიკილოთ.

—
სულ სხვა გვარი მეორე საფრთხის აღნიშვნაზე დავესწარით ეგრეთვე ამას წინად. უნდა მოგიხსენოთ, რომ მეტაც სიმპატიური, ჩუმი და ნაყოფიერი მუშაკია ჩვენი ისტორიკოსი ბ. ს. გორგაძე, მაგრამ იმასაც ერთნიირი ახირება სკირებია: ამ ერთი-ოდე თვის წინად, ქართ. კულტურის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთ კრებაზე, ბ. გორგაძემ წაიკითხა თავისი ვრცელი მოხსენება, რომლითაც ამტკიცებდა, რომ აუცილებლად საჭიროა ღირსეულად მოვლოს დიდ თანამედროვე ნაკლის ჩვენი მწერლობისა — ქართული ენის ღრამატიკას, თუ არ გვინდა ასეთ დაქაცხულად, ჩიქირთულად



1. ერცჰერცოგი ფრიდრიხი, ავსტრიის ჯარების მთავარ-სარდალი, რომელმაც ვერ მოახერხა პერემიშლის განთვისუფლება. 2. გენერალი კუსმიჩი, პერემიშლის კომენდანტი.

ვწერით, და, როგორც უველა სხვა კულ-
ტურისან ერებს შეუქმნიათ, ჩვენც შევ-
ქმნათ საერთო აკადემიურ-ლიტერატურული ენაო. და წარმოიდგინეთ, კინალამ გაიყვანა ეს მრავალთა-
თვის (და მათ შრის თქვენ უმორჩილეს მონისათვი-
საც) ძნელად შესაგუებელი და «სახლათორთო»
მოსაზრება! კიდევ კარგი, რომ კრებაზედ იღმოჩ-
ნდნენ ისეთნიც, რომელთაც ბ. გორგაძეს სიტყვა
„გაუტრისანეს“ და დაგვარწმუნეს: სულ ტუუილია,
„კაცმა როგორც გინდათ ისე სწეროს, ოღონდ
გასაგებათ ილაპარაკოს; ჩვენ ლაპარაკიც არ ვიტი-
ოთ“... ჩემი აზრითაც ეს სრული კეშმარიტება გახ-
ლივთ: მართლიაც და, მაგალითად, ქუთათურს თუ
არ უთხარით: „ეზიონი გოროდის კლასში სტეკ-
ლოებს ვაჯენო“, — სხვანაირად ვერც კი გააგებინებთ,
რის თქმა გინდათ. ერთი სიტყვით, „ჯინიანი“ და
აზირებული კაცი ბრძანებულა ბ. გორგაძე!..

—
და ერთნაირი აზირებულება გადასდებია აგრედვე
თვით ქართულ კულტურულ მოუვარულთა სა-
ზოგადოების გამგეობასაც. აი საბუთიც: გასულ
კვირას დავესწარი ამ საზოგადოების კრებას, რო-
მელსაც თავ-მჯდომარეობდა გამგეობის ერთი წევ-
რთაგანი, ვექილი ბ. გორდეზიანი. (ვექილები
ხომ საზოგადოთ ეინიანი და ამასთანავე მოხერხებუ-

ლი ხალხია: თავის ნათქვამს, როგორც მექოთნე
ქოთანს, ყურს საითაც უნდა იქით მოაბავს!) ჰო-
და, იღნიშნულ კრებაზე, ერთ დამსწრეთაგანმა
(ისიც ვექილი იყო და უნებლივთ გამახსენდა ერ-
თი ებრაელი, რომელმაც ასეთ შემთხვევაზედ სთქვა:
„მარცხი-მარცხს გადაპყიდებია“!...) სთხოვა დეზე-
ბიანს... უკაცრავად, ბ. გორდეზიანს, რომ ნება
მიბოძე ჩემი სიტყვა უცხო ენაზე მოგახსენო, ვინაი-
დგან დედა-ენაზედ იმას ჯეროვანად ვერ გამოვხა-
ტავ, რის თქმაც მინდაო. დამეთანხმეთ, რომ ეს
ბუნებრივი და კანონიერი თხოვნა იყო, ვინაიდან,
ჩვენებურ ინტელიგენტთა შორის, ვერ შეხვდებით
ხუთიოდე კაცაც ისეთს, რომელთაც თავისუ-
ფლად, ძალ-დაუტანებლად შეეძლოთ ქართულ ენაზე
ბაისი... მაგრამ გაჯიურდა, შეხტა და შემოტრიალდა
ჩვენი თავმჯდომარე, ნება არ მისცი და
თავისი, ეინიანობით გამოწვეულ, სიკერპის გასამარ-
თებლად, მოედო რაღაც ლობე-ყორეს: „თვით ჩვენ
საზოგადოების — მიერ დასახულ მიზანს არ შეეგუება
„კრებებზე უცხო ენაზე ლაპარაკიო“ — და სხვა და
სხვა. კიდევ კარგი რომ ჩვენში იშვიათია გორდეზია-
ნისთანა აზირებული თავმჯდომარეები, თორებ, შენი
მტერი, ჩვენ მოგვიხდებოდა ან მუნჯური კრებები
გაგვემართა, ან, როგორც რუსები იტყვიან: „всё
лавки закрывать! ვინაიდგან, თითქმის ყველა ჩვენ

საზოგადოებრივ კრებებზედ ენების მთელი დომხალია ხოლმე. ან სად გაგონილა ჩვენში, რომ კრებებზედ, თავიდან-ბოლომდე, დედა-ენაზე ილაპარაკონ?...
—

ამ კრებაზე წაკითხული პ. გ. ქორდანის—მიერ მოხსენება კი—ჩვენებურ ქორწინებაზე—მართლაც საყურადღებო იყო. დარწმუნებული ვარ, ბევრს ჩვენებურ „ბარიშნა—ენისებსაც“ გული დასწუდებათ, რომ, უკოდინარობით, არ დაესწრონენ ამ... სიტუაცირ ქორწინს მაინც...
—

ნეტაფი იმას, ვინც მართლა ქორწინების, ან თუ ოხუნჯობის გუნებაზე იყოს! მე კი ეხლო ჩემი სატკიფარი მაქვს და იმ სატკივარზე შენთან საჩივარი, შეითხველო მე გული მტკივა, რომ ჩემი დღიურიდან, გარეშე, ჩემი სურვილისა, მაიმულებენ ისეთ მშრალ ამბების ამოკრების, რასაც არც რამ სიმახვილე აქვს, არც ფხა, არც რამ ისეთი შინაარსი, რის გაზიარებაც ისე მწალიან შენთან და რასაც მართლა შეეძლებოდა ჯეროვანის დაკვირვებით მოქალა შენი, ჩვეულებრივად ჩემსავ—გვერდივ უზრუნველი ყურადღება. პირად ჩემ ყოფაში შეიძლება ბედის სამდურავი არაფერი მქონდეს, მაგრამ ვერც კი წარმომიდგენია ისეთი ცოტად თუ ბევრად მოაზროვნე და მგრძნობიარე ადამიანი, რომელსაც პირად უზრუნველ-ყოფით შეექმნას გულის სიშვიდე! გარეშე საზოგადოებრივ ეროვნულ დალხინება—დაავადებასა არ შეიძლება ადამიანმა, ამ სიტყვას ლირსეული მნიშვნელობით, ზნეობრივის სიშვიდით კუჭი ამოიქოლოს მაშინ, როცა მის გარშემო, მისავე სისხლისა და ხორცის მოძმეთა ოხვრა-კვნესა ისმის; მას არ შეუძლიან დაშვიდებით ლუკმა გადაყლაპოს, თუ წარმოიდგენს, რომ მთელი წყება თვის თანამოძმეთა სოფლებისა, ვაი-ვაგლახით შეძენილ ავლა-დიდებით, ცეცხლმა და მახვილმა იმსხვერპლა და გადარჩენილნი კიდევ ტყესა და ღრეს მოსდებიან...
დიაბ, არიან ხოლმე ისრეთი წუთები, როცა შენს გარდუვალ მოთხოვნილების შეადგენს მართალი და საგულისხმიერო სიტყვა გაუზიარო შენს მეგობარ— მკითხველსაც, მაგრამ... ისეთი ნაკარნახებნაწერებიც რაღაც უდღეული გამოდიან, თითქოს მათ ვერ იკარებდეს ქალალდი, და უკანასკნელი უმაღ ისეთივე სუფთა, უსიტყვო რჩება, როგორიც,

მაგალითად, იხილე გასულ კვირის ნომერში... ასეთ შემთხვევაში შზათა ხართ მთელი ოქვენი დაგუბებული ჯავრი თვით რედაკტორზე თყაროთ, რომელსაც დაფინანსით სთხოვთ პასუხს თქვენ შრომის და რწმენისაღმი იმგვარ უდიერად მოჰყურებენ მაგრამ, მოშავედებულ—მოკუნტული რედაკტორიც მისჯდომია ლარიბ მაგიდას და თავისთვის გამოურკვევლად რაღაც მკითხველის ბუხლუნობს... ამიტომაც ნუ დაგვემურებით მაინც, მკითხველო, თუ მხოლოდ ღა „საომარუნჯო ამბებით“ ვსულილობთ რამენაირად თქვენს გართობას... თთარ ბევისა არ იყოს, ჩვენც „ვიცინით, დიაბ, ვიცინით!..“

პ. ახ—ელი.

— P. S. ის-იყო ზემოთ ამონაწერი დღიურიდან გავათავე, რომ მეზობელ ბანიდან მომესმა სიმღერის ხმა.

— შესწყვიტეთ!.. გაჩუმდით!.. — ამ ძალით, გაბრტოტებული, გავვარდი გარეთ იმ მიზნით, რომ მომღერალთ შევვარდნოდი და სიმღერა შემეწყვეტინებინა საყვედურით: „არა გრცხვენიათ, რა დროს სიმღერის და ლხინის დროა!..“ მაგრამ, მომღერალთ რთმ მიუახლოვდი, როგორც სიმღერის ნალვლიანმა პანგმა, აგრედვე უფრო სიმღერის შინაარსმა, აფორიაქებული ნერვები დამიშვიდა, გამანელა, მუხლებში ღონე წამართვა... მწყობრი, შეხმატკბილებული ჰანგი ჰკვნესოდა, უიმედოთ სჩიოდა და ღრმად სწვდებოდა დაავადებულს გულს:

„რა კარგი რამ ხარ ჩემო სამშობლოვ: ლამაზი, ტურთა და მოკაზმული, მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული...“

ეს „სიმღერა“ ეფინებოდა, სამწუბაროთ, მეტად მცირე შიდამოს...

მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, უფრო იმდენად მიკვდება გული...
მეც, მთელი დღე ღილინით, ვიმეორებდი ამ სიტყვებს...
პ. ახ—ელი.

სხვა და სხვა ამბები

★ ქართულ კულტ. მოყ. საზოგადოებაში. შპბათს, 4 აპრილს თავიად-აზნაურთა დეპ. საკრებულოში გაიმართა ქართ. კულ. მოცუარულთა საზოგადოების კრება გ. გორდეზიანის თავმჯდომარეობით. კრებამ განსახილები საგნებიდან მხოლოდ გ. უორდანიას მოხსენება მოისმინა: „ქართლის საქორწინო ადათები, როგორც სისტორიო-სახოლოგიო მასალა“. მოხსენების წინ თავმჯდომარემ მოკლედ და მკაფიოდ დაუხასიათა მნიშვნელობა ისტორიულ-კულტურული ნაშთებისა, ზნე-ჩვეულებათა, ადათებისა, ხალხურ სიმღერებისა და სხვა. უკელი ეს იგივე დაუწერავი კანონებია, რომელიც ახასიათებს ხალხის კულტურულ მდგომარეობასათ. შემდეგ მოხსენება წიკითხა თვით უორდანიამ. მოხსენება ფრიად შინაარსიანი გამოდგა და დამსწრე საზოგადოებაც, რომელიც პლომად ჟურ., დიდად ნახიამოვნები დარჩა. მოხსენების შემდეგ საუბარში მონაწილეობა მიიღეს კ. ყიფიანშა, პ. მირიანა-შვილმა, ს. გორგაძემ, გამსახურდიამ, ივ. ავალი-შვილმა და სხვ.

P. S. შპბათს, 18 აპრილს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზშივე გაიმართება საღიმოს 8 საათზე ხსენებულ საზოგადოების კრება, რომელზედაც გ. თ. უორდანია წიკითხავს თავის მეორე მოხსენებას: „ხალხური სამართლი ქართლში“.

შემდეგ გაიმართება ქამათი. კრებაზე დასწრება და კამათში მონაწილეობა უკელის შეუძლიან.

★ კონსტანტინე დიმიტრის ძე უიზიანი, ქარგანია მას შემდეგ რაც ქართულ-რუსულ ღეჭვივთნის შედეგნაზე შრომის, თათქმის 30 წელზედ მეტი.

ამერიკა შრომა უკვე დაუმოაწერა და დასაბეჭდაც დაუმზადება, ამ საქმის გამო მას წერა-კითხვის გამპერიასთვასც მიუმართავს თხოვნით, რათა მას ეს მისი შრომა წიგნად გამოსცენ. აქამდისაც კის. უიზიანი სკოლის შრომითაც არის ჩვენში ცნობილი, ადრე მან გამოსცა ქართულ-დათინურ-რუსული ბლანიკური ღუშესა-ზნი ამას გარდა ქართულ სამუცირო ცერმონების კრებული და სხ.

(ურნალ გაზეთებიდან)

♦ დიდი ვეზირის აზრი ისმალეთის გამოს-ვლაზე. ნიუორკის წარმომადგენელს სტამბოლში

უსაუბრნია დიდ ვეზირთან ისმალეთის ომში ჩარევის შესახებ. ი. სხვათაშორის, რა უფრველს ვეზირს: „ისმალებმა უარპყევს მოკავშირეთი წინადაღება, ვითომც ისმალეთის 30 წლ. განმავლობაში ხელს ვერავინ ახლებდა. ასეთი გარენტირებულ დიდ ვნებას მიაყენებდა ისმალეთის სუვერენიტეტს. ისმალეთი გამოცდილებამ კარგად დაირწმუნა, რომ სამთა კავშირის ილტემი უკა იქნებოდა საფუძვლიინი. ჩვენ დავიღალეთ მათი პირულერობით და ცრუ ალთქებით. ისმალებმა სურთ თავიანთი ბეჭი თვითონვე გამოსტელონ. ისმალეთის აღორძინებამ, რომელიც 6 წლის წინად დაიწყო, მთელი მხარე ხაოკრად წამოსწიო, გააღონიერა ნივთიერად და გონებრივადაც აამაღლა. ისმალეთი პარბაროსები არ არიან, შავ-კანიანები, ანუ ყვითელი მოდვმის ხალხი, არა, ესენი თეთრები არიან და უფლებაცა აქვთ სხვა თეთრ ერებთან იცხოვრონ მეზობლურიად და შშვილობიანად. მაგრამ მათ ვერვინ მიუხვდა გულისპასუხს, ამიტომ არც ერთი არ მოპყრობია სიმპატიით. უკანასკნელ დღემდე ისმალეთი მხოლოდ პაკი იყო ევროპის დიპლომატთა ხელში. მის ინტერესებს არავინ იცავდა, გული არავის შესტკივოდა. ჩვენ დავიღალეთ ყველა იმისგან და დღეს ისმალეთი თავის არსებობისთვის იბრძეის. რაც შეეხება იმ აზრს, ვითომც ისმალეთი შეიძლება ახლა ავსტრიუგერმანის ულელ ქვეშ ჩავარდეს, ესეც ტყუილია: გინა ავსტრია და იტალია თავიანთ მოკავშირეთი ულელ ქვეშ ჩადისმე ჩავარდნილია?

★ ახალი ტიპის ყუმბარები. შვეციაში საფრანგეთიდან მოსული აფიცირები ამბობენ, რომ საპოზიციო ომის დროს გერმანელები ახოლ სასროლ ყუმბარებს ხმირობენ, რომელსაც ფრანგებმა „შამპანიურის ბოთლები“ უწოდესთ, ასეთ ყუმბარებს ან ხელით ისერიან, ან ვანსა კუთრებული სასროლი მანქანებით. ამ ყუმბარების აფეთქება ძლიერი და გამნაღეურებელი ძალით ხდება. საკე ეცემა დიამეტრი უდრის 40 ფუტს, ხოლო სიღრმე 15 ფ. რომ ყუმბარა არ აფეთქებულიყოს, ასეთი შემთხვევა ჯერ არ ყოფილი. ეს გარემოება ფრანგ ქიმიკოსებს აფიცირებინებს, რომ ყუმბარის ნივთიერების მელინი და დინამიტი კი არ შეადგენს, არამედ პაერის სითხე, ანუ ნახშირ-მეავით. ყველინი დიდის გაფაციურებით იკვლევენ თავ-თავიანთ ლაბორატორიებში თუნდა ისეთი სახელოვანი მეცნიერი, როგორიც არიან ტიურპენი და გასტონ-მარვე.

♦ გერმანელი იურისტები, ომის „გელ-ზე. „Deutsche Juristenzeitung“ ის ცნობით დღემ-

დე ობის ველზე დაცემულია 1,472 გერმანელი იურისტი, ამათ შორის 7 უნივ. პროფესორი, 313 მსაჯული და ბრალ-მდებელი და 1,162 ვილი.

გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი

„რ. ვ.“ კორესპონდენტი თავის წერილებში ასწერს გერმანელთა მართლაც და განსაკუიტრებელ ტეხნიკისა და აღმოჩენის შესახებ. გერმანული ტეხნიკას საოცარი სისტრატით გაჰყიცს ელექტრონი უმავთულოდ და ურეზინოთ, ქალალდისაგან იკეთებენ ბამბას, ძველი გაზეთებილან პკერენ ზამთრის საბნებსა და ტანსაცმელებს, სამზარეულოს ნარჩენებიდან პკვებენ საქონელს, „ჩალის ფქვილით“ პკვებავენ ლორებს, ქალიქის მოედნებზე, უდაბნო ადგილებზე და ნიჭიობრებზე სოესენ კარტოფილსა და პურს, შაქრისაგან პხლიან სპირტს და იმოძრავებენ ავტომობილებს, პქმნიან ერთგვარ მცენარეობის ჯიშს, რომელიც იძლევა oleum riconis, უწელებოდ იკეთებენ ძეხვებს, ურეზინის ძაფოდ პქსოვენ საწვიმურებს და სხვა და სხვა.

მაგრამ უკელაზე უდიდესი აღმოჩენა გერმანელთა ტეხნიკაში აღსანიშნავია სრულებით ახალი საშუალება პაერშივე აზოტის დიჭერა მოგროვება. აზოტი აუცილებელი საჭიროებაა მიწათმოქმედებისა და ასაფეთქებელ ნივთიერებისთვის. გერმანიაში ძალიან ცოტა აზოტი იყო უოველწლიურად 18% მილიონ მარკისას იწერდნენ ჩილიდან. ამიერიდან კი უმთავრესი ქარხნები აუშენებიათ ბიტურფელდში, ბერლინის მახლობლად. საფინანსო მხარე უკისრნია ბერლინის საელექტრონო საზოგადოების კავშირს. ეს ახალი აღმოჩენა, აზოტის პირდაპირ პაერშივე დაჭერა, უსრულველსა პყოვს გერმანის, როგორც მინდვრების დასამუშავებლად, ისე ასაფეთქებელ ნივთიერების მოსამზადებლად და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამ ახალი აღმოჩენით სახელმწიფომ ახალი შემოსავალის წყარო შეიძინა. ვიდრე გაღებულ ხარჯს არ აინაზღაურებენ, შეიდი წლის განმავლობაში, მარტ. 1922 წ. ირსდება სახელმწიფო მონოპოლია.

ქ-ნი ნინო ჩხეიძე // მედებას რეალისტი

ბევრი რამ გამეგონა ქ. ჩხეიძის მედების შესახებ. ამ მსახაობის მადლიან ჩიჭი უჭირა არასოდეს არ შემოტანია და ამიტომ უფრო ხალისიან წაველ 8 აპრილს სახალხო სახლში „მედებას“ სახახვად. ამას უნდა შენიშნო, რომ მიესა მარცა და მაინც სახარბის არა წარმოადგინს. იგი უალბ კუჭამეტებზე დამუარებული, სცენიურ ხელოვნებას ბევრად უკა აკმაყოფილებს, არაბუნებრივობა, ტიპების ფერმკრთალობა, თავისთავად ჰერიტაჟის მთბის, რომ მიესა მარცხით უნდა გათავდეს. ანტიურ ხელოვნებაში მხატვრული შემოქმედება და ღვით შირთვნებანი ერთურთისაგან თავიანთი მთლიანობით, სრული მონაზულობით განსხვავდებოდნენ. სუვორინი კი თავიდან ბოლომდე უაღმადა სწერს, არც ერთი მას მიერ დასურათებული მოქმედი შირი არ წარმოადგინს სრულს, სკულპტურულ შირთვნებას; თვით მედება კი მეტად ფერმკრთალია, ბევრების და მორებული. თუ არ გავიხსენებთ ადგილ-ადგილ საეჭვეჭრო ძლიერ ხაზებსა, რაც ისტორიაში გადმოგვიანდა და უოვლად უნიჭით შესტერის ხელშიაც კი ჭადთსხურ ფერმდების სისქი იდების, ეს პიგა გროვად არ ელინებოდა და მისი დაჯგუფ ზედმეტი იქნებოდა ჩეხებს სცენიზმი, როგორც ესოეტიურ გრძნობა. თა გამორჩეული მიესა.

შართუაც ძლიერი ხელოვანი უნდა იქს მსახიობი, რომ ამ ბაზმურ სახისორეულო მიესა სული ჩაუდგის, აღმაღლდების და აღგვაძლდოს ხელოვნების თეატრთათელა მწვერფალამდე. და ეს ხელოვნება, ასეთი ჭადთსხითა შესძლო ქ-ნი, ჩხეიძემ, მან გადაჭდას სიმნელის უდიდესობი ზღუდე და აუტორის სასუსტე უბადელ ნიჭის წესათბით ერთი აზრდ გამოისუიდა.

უდადესი ძღვენი, რაც მისმაგის ბენებას შეუნიჭება, ეს გახდავთ ხმა, ეს ხაზა, მეტად დბილი და უკავილებობას შეადერსე ხიავი, რომელიც ტონთა მრავალუფეროვანი მესივაბით უნებდიებ გხიბდავთ, გაფადოებთ. საგმარისა სცენები გაისმას იგი, რომ ელექტრონისა და კინოთ, მაგნიტოფილო და ისე შეგისუროთ, როგორც ძროშები სამრეკლოთან სადიტანით ზარის ხმაშ. თქვენ გავიწიდებათ ჩეხები სცენის სიდარიბე, გავიწევებათ თვით მსახიობთა პერსონალის სასუსტე-ნაკლუბებას, გავიწევებათ თვით ანტურაფის სიმიშვლე, სრული ანტეპილობა, რასაც გითამაც კორინისის მეოვე კრეთნის სასახლე, გარმიდამო და ფირუზის ზღვის კიდე და მოქალაქენი

უნდა დაკარგია. თუ რამ ესთეტიკურ გემოფეხის ესმის ადამიანის, უპირველია, ერთ წერილია არ განერდება ამ საცირკო სტენის სახასად, მაგრამ არა, აი, გაისმის შედეას განწირული ხმა: „გვიშველეთ..!“ და სახასაობაც სხვა სახეს იღებს. უსიამოვნო შთაბეჭდილება ფინანქტერის (გთრიშელი) წინ თავმოურილ ბრძოლის შემდეგ იფარტება და წერილი ფრთას ისხვს სასურველი იღლუზია, რომლის მოლოდინიც ინსტიქტიურად გვქმნდა. მართლაც, განწირულ ხმის შემდეგ გამოჩნდა თუ არა კიდევ ეს შედეა თავისი ბავშვებით, ბრძოლის შემდეგ პირებითურთ გამჭერებულე უსახლებად დასაკარა, მათ იქ ერთხას კერავის ამჩნევდა. თვით უსული ტილო, გახუნებული დეპარატის სასურველ დანდეტაზე გაიმალა, როგორც კორინთის კონცხის საუცხოვო ლაფერდი კიდევ...

შემდეგ, ოთვების თხით შოქმედგამი ერველ მის გამოსვლაზე საზოგადოებაში სწრაფი მოძრაობა ასტერედა ხოლმე და წერილებები უკრ-განაბული აშტერდებოთდა მას. საუცხოვო ხელოვნებით ჩატარა სტენის საუბარი კრეატიულობასთან და იაზონობას. გაწერად კაშირის თმით, თეორი საშირით, გაწერებული სახით, მდებარე და მცენებური ანთებული თვალებით ურთსა და იმავე დროს მაყურებელი იწვევდა განცვალებას და თანაგრძნობას, შემსა და უსაზღვრო სიმპატიას. დიდებული რამ იყო იაზონის მიერ შეურაცხულის დროს. ამ დროს ეს შეგინებული უცხო ქალი მოქალა თავის მეფეზე შედიდებით გაარღვევს ბრძოლის და როგორც მარშალოს ქანდაკი სიკვდილის მრისსანებით, ისე ანადგურებად თვის შეურაცხოულებით. მაგრამ აი, იაზონი შეახებს ტლანქ ხელს, ძირს დასცემს, იფანტების უკეთანი, ძირს განართებით შედეა როდის—როდის წამოსწევს თავს, როგორც დასკეტებილი თავთავი და გაისმის კათებარი საუკედერის ხმა, წმინდა და მელოდიური, მაგრამ შესთან ხალფაიანი, როგორც წერების ზარის ხმა.


მაგრამ უკეთაზე საინტერესო იყო უქანასკნელ მოქმედებაში, როდესაც ბავშვებს კოსოვება, ქვთცნის და გვალში ჩაკრულთ მორთულებები ხელით თითქოს წინდაწინებებისგან საგულეს, სადაც ადვილად უკედებოდა დაქრა დასა, რათა შერი ქმია მოღალატე იაზონისთვის. ამ დროს შედეა—ჩხეიძე ნამდვილი საბადლია იყო. სეგონს, ძაღლის ბეგრა დააღვრევისა ცუკმდება. მას დღნავაც არ უსარგებლია მედესებური მეგეორი თვალთა კუჭერით,

არა, დადობრივ გრძნობაში კაიმარჯვა, მას წამწმები იათა-ქმის მთლად დასუსტვის ტანჯვით, თითქოს ტანჯვა იკინებულის ამასწერის და კოცნის წევმით განწირულ შვილთა გულულებში ჩასხურდს.

არა ნაკლები კუჭექტიონ ჩყრტულ დასტაციონურ გვინებული სტუნა ბავშვების დახმაცვა და გასისხლიანებულ დანით მდევარ იაზონის წინ შეჩერება, დანისა და თითქოს ათამაშება, თითქოს სამჭრელოს პირიდან უშერეოს სისხლი წვეთ-წვეთად მოდისთ. ეს იუთ მომენტი შხატურულ შემოქმედების ძალთა კონცესტრაციისა, რომა ხელფეხნების ასარეცხმა, მაურებულთა გრძნობაზი ათამაშა, აცდინა და არ არსებულის უპირველ სინამდევილეში დაარწმუნა, რასაც ასე რიგად კომიტეტის მათი მოუკუნე ცრემლები...

სამწერლოდ უნდა შეგნიშვნოთ, რომ მსახიობს დანართები ერთ უწევობის ხელი. არც ერთი მაშტამედი პირი ერთ ჰქონილ სათანადო იღლუზიას. პლატიკის სკულტურული ხასიათი, რაც ანტიკ დროის პიესების აუცილებელ ფერადებს წარმოადგენს, არც ერთს მათგანში კურ გახდავდით. ამ მხრავ შეიძლება ითქვას, რომ ერთად ერთი კარიშედი იუთ თავის ადგილის და საკმაო მთხაზულობით გვისურათებდა მთხუც ფილოსტერს.

დიოგენი.



წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნი არ. ჯ—შვილი „სახალხო ფურცელის“ მე 252 ნომერში გულის წყრომას უცნადებს ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების, რომელსაც „განზრაობება პერიოდი გამართოს მსჯელობა ნ ს. კაკაბაძის საქციელის გამო“. ასეთი განზრაობება ბ. არ. ჯ—შვილს „ყოვლად შეუწყნარებლივ და არა საკარისად მიაჩნია“ ის მას „კატეგორიული პერიოდი პერიოდის“.— „ბ-ნი ს. კაკაბაძე ბოროტ-მოქმედი ხომ არ არის“— უკვირს ბ. არ. ჯ—ს,— მას არათერი ისეთი არ ჩაუდენია, რომ ესოდენი სასჯელი მივაყენოთ“ და სხვ...“

ჩვენ არ ვიცით, რამდენად ბოროტ-მოქმედია კაკაბაძე, „პიროვნების საჯარო საჯიჯგნად გამოტანაც“ ბევრად ვერაფერი სასიამოვნო ამბავია, მაგრამ არ შევიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ასე

თი „ჯიჯვნა“ პიროვნებისა და მისი სახელის შეუ-
რაცხვოფი ჩვენს საზოგადოებას ისე არსად ახსოვს,
როგორც იმავე გაზეთის ფურცლებზე, სადაც
თვით ბ. ა. ჯ—შვილი თანამშრომლობს. თვით
წარსულს კრებაზე მოხდარ უმნიშვნელო ინციდენ-
ტის ახალ ამბად გამოქვეყნება სწორედ ამ „ჯი-
ჯვნის“ სურვილით თუ იყო გამოწვეული, თორებ
ასეთი ხმაურობა და აურ-ზაური, რასაც ებ-
ლია ვხედავთ, ხომ სრულებით არ იქნებოდა. მა-
შასადამე, გმობა და ანათემა ჯერ აქეთკენ უნდა
მიემართნა და შემდეგ სხვებისთვის ესწავლებინა
ჰქუა. მიგრამ, ვთქვათ, ეს კიდევ საბუთს არ გვაძ-
ლევს ქ. კ. მ. ს., რომ შესაფერად თავი ვიმართ-
ლოთ. საჭიროა საქმის დაწერილებით გაცნობა,
თვით წყევლის ობიექტის სწორი განხილვა. ვიდრე
ჩვენს გულისწყრობის და ისიც „კატეგორიული“
გმობას პათეტურად გავაშლევინებდით ფრთას. ნე-
ტავ რას იზამდა, ვთქვათ, ესა თუ ის საზოგადოე-
ბა, დაწესებულება, თუ გნებავთ თვით „სახალხო
ფურ.“ რედაქციის კოლეგია თუ მას მოხსენდებო-
და, ჩვენი ერთ-ერთი წევრთაგანი აფურთხებს ჩვენს
იდეებს, ჩვენს მიმართულებას და არასა ზოგავს ჩვე-
ნი წმიდათა-წმილის გასაქელავად? ყურიდლება ასე-
თის გაფრთხილებისა და მისი ვითარების გამორკვე-
ვისა ნუ თუ ვისმეს რაიმე ცოდვად ჩაეთვლებოდა?
წირსულ კვირის ინციდენტი ამ ილიუსტრაციის ანა-
ლიგიაა: გ. იმნაიშვილმა, როგორც ჩვენი საზოგა-
დოების წევრმა იღძრა საკითხი ს. კავაბაძის შესა-
ხებ და დაახლოვებით შემდეგი ულტიმატუმი დასვა:
„ჩვენი საზოგადოება არის ქარ. კ. მო. საზოგა-
დოება. თუ ეს საქმით ასეთია და არა მარტო სიტ-
ური, მაშინ უნდა გვიყვარდეს ჩვენი კულტურა
და ვიკოდეთ მისი პატივისუმაც. ცნადია, ჩვენს
საზოგადოებაში მოქმედებინ მართლა სულათ და
გულით მოყვარულნი და ჩვენი კულტურის გაფურ-
ჩვნის ხელის შემწყობი. თუ ეს ასეა. მაშ რას
ნიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში წევრად ითვ-
ლება ისეთი ადამიანი, რომელიც არა თუ პატივის
არა სცემს, პირიქით, ყოველთვის და ყოველგან
სცდილობს განზრახ ფაქტების დამახინჯებით მის
დაწინვლას და შეურაცხვოფას? ეს პირი გახლოვთ
სარვის კავითად. თუ საბუთი გნებავთ, ბიტონებო,
მიიღეთ. აქ როდესაც ქართველი ერი და პრესა
წმ. ნინოს პატივისსაცმლად და სათაყვანოდ ეროვ-

ნულ დღესასწაულის დაარსებას ფიცულობდა, მა-
შინ ბ. კავაბაძე ქარ. თეატრის სასუეტო კათედრი-
დან ზედ ნინოობა დღეს წმ. ნინოს სახელს შე-
ურაცხვოფდა, მას ლეგენდარულ მითურულ პიროვნე-
ბაო აცხადებდა, ყოველივე ჟემთჲვენების უფრო ლე-
კების განმანათლებლად ჰსახავდა, ვიდრე ჩვენისად;
ბ) როცა ტერიტორიის საკითხი იღია, როდესაც
ჩვენს გარშემო საშინელი იერიშები მოჰქონდათ ამ
ნიადაგზე, მაშინ კავაბაძე ირწმუნებოდა, რომ
ჩვენ აქ მხოლოდ მეათე საუკ. გავჩნდითო; შემდეგ
გ) მან გააწმილა რესთაველი, დიდი თამარი...
ჩვენი კულტურა არ არის ჩვენი,— თუ რამ გვაქვს,
ისიც სომხური და სხვა და სხვა. ჩვენი კულტური-
სა და ისტორიის პატივსაცემლად ასეთს პირს არ
უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს საზოგადოებაში.

ბ-ნ ეორდანიას, როგორც საზოგადოების თავ-
მჯდომარეს, არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ჩვენი^{,,საზოგადოების“} წევრის ასეთი ბრალდებისთვის.
ნუ თუ სხვა მის ადგილას სხვანაირად მოიქცეოდა?
თუ პატივცემული „სახ. ფურც.“ რედაქცია ბ-ნ
ი. გელევანიშვილისა, კურსებზე მსმენელ ქალთა პი-
რით და განსაკუთრებით არ. ჯ—შვილის სახელით
გამოვიდა კავაბაძის პიროვნების მართლაც და „სა-
ჯიჯვნელი“, ნუთუ იმ საზოგადოებას, რომლის
წევრადაც ითვლება კავაბაძე, უფლება არ ექნება
მის შესახებ აღძრულ საკითხს სათანადო პასუხი გას-
ცეს? ვიმეორებთ, ჩვენ არვის ვებრძვით, არც თუ
ვისმე ვასამართლებთ „მეცნიერული“ რწმვნისათვის,
არა! ჩვენ, როგორ საზოგადოების მიერ არჩეული
საბჭოს წევრნი, ანგარიშს ვუწევთ და მათგან წამო-
ყენებულ ბრალდებას გვერდს ავუხვევთ. ჩვენ შევა-
სრულებთ ჩვენს ზემობრივსა თუ იურიდიულ მოვა-
ლების, მოვიწვევთ კრებას, მოვახსენებთ იმნაიშვი-
ლის მიერ წამოყენებულ ბრალდებას და რას დად-
გენს იგი, ეს მისი საქმეა. და თუ ამისთვის ვინმე
ანათემას შემოვგვითვლის და შევვაჩვენებს, ჩვენ მაინც
დამშვიდებულნი ვიქნებით ჩვენი სინიდისის წინაშე
და ოდნავაც არ გავწითლდებით.

ქ. კ. ს. საბჭოს მონაცემის მდივანი
დ. კასრაძე.

რედაქტორ-გამომცემელი რ. გაბაშვილი.

